საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

# საქპატენტი

„18" 11 2013 წ.

ქ. მცხეთა

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1628/03

### სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 28 სექტემბერს N 69077/03 განაცხადით კარენ აკოპიანმა (მის: რ. თაბუკაშვილის ქ. N2, 0800, ახალციხე) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ლაგუნა LAGUNA лагуна" (რეგ. N 24284) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ლაგუნა LAGUNA лагуна" (რეგ. N 24284) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 18.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 18.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ლაგუნა LAGUNA лагуна" (რეგ. N 24284) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N429), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 18.11.2013.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კარენ აკოპიანმა (მისამართი: რ. თაბუკაშვილის ქ. N2, 0800, ახალციხე)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

ლაგუნა
LAGUNA
лагуна

რეგ. N 24284

მფლობელი: აკოპიან კარენ

მისამართი: რ. თაბუკაშვილის ქ. N2, 0800, ახალციხე, საქართველო

კლასი:

29 - ხორცისა და თევზის კონსერვი; დაკონსერვებული მუხუდო და სიმინდი; პომიდვრის პასტა.

30 - ყავა და ყავის შემცვლელები; ხსნადი ყავა; კაკაო; საკაზმები, მათ შორის, შავი პილპილი.